



## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №13

2016 წლის 4 მარტი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში  
არსებული ქონების გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციის საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარისწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

### მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბავშვო ბალების: სოფელ მაწიმის(ს/კ 54.02.51.246), სოფელ საქობოს (ს/კ 54.07.56.049), სოფელ გიორგეთის ს/კ 54.12.52.396), სოფელ აფენის ახალაშენებული საბავშვო ბალის(ს/კ 54.13.53.250) და სოფელ ვარდისუბანში მდებარე შენობიდან(ს/კ 54.07.51.044) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურზე გადაცემული 49.68 კვ.მ ფართის გარდა, მთელი ქონება უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით სარგებლობისათვის ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას.“

### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:

ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე

გოდერმი ბარბაქაძე

